საქართველოს გარემოსა დაცვის და სოფლის

მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ შპს „სდანდარტ ცემენტი" ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა N6ა-ში გეგმავს ახალი ცემენტის ქარხნის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს შესაბამისად, საქმიანობას გააჩნია შესაბამისი ნებართვა (გარემოსდაცვითი გადაწვეტილება 2019 წლის 2 აგვისტო N2-726). იქიდან გამომდინარე, რომ შპს „სტანდარტ ცემენტი" გეგმავს არსებული ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, კერძოდ ახალი ცემენტის ქარხნის მოწყობა-ექსპლუატაციას, საქართველოს კანონის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე- 5 პუნქტის, მე - 12 ქვეპუნქტის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, თუმცა დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბების და ხასიათის გათვალისწინებით, პროექტის განხორციელება უნდა მოხდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე მიღებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად.

კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია;
- ტერიტორიის შეიპ ფაილები;
- ამონაწერი საჯარო და სამეწარმეო რეესტრიდან.

პატივისცემით,

კონსტანტინე რევია,

შპს „სტანდარტ ცემენტის" დირექტორი

"STANDART CEMENT" LTD • GEORGIA • 416339607 • შპს "სტანდარტ ცემენტი"

№ 12990
21 07 2021
1/5/ცბ